

ილია ჭავჭავაძის სახელობის  
თბილისის ენისა და კულტურის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა, თარგმანი, ლიტერატურა

‘ენა და კულტურა’  
თბილისი  
1999

## არგო და სოციოლინგვისტიკა

„ჭეშმარიტი ფრანგული, ხალხური ფრანგულია, — წერდა მარსელ კოენი. ფრანგულს თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ იგი იქნებოდა ხელოვნური ენა, ერთგვარი არგო“. (1, 7)

არგო, ეს სოციალური ჯგუფის ენაა, რომელიც ერთი და იგივე ხელობას მისდევს. იგი ემოციური, ხელოვნური ენაა, რომელიც სათანადო კვალიფიკაციას აძლევს იმას, რასაც აღნიშნავს.

არგო არ რჩება ჩაკეტილი იმ სამყაროში, რომელმაც იგი შექმნა. იგი ისევე ვრცელდება, როგორც რომელიმე დაავადება—წერდა პიუგო. „ის სურვილი, რომ დარჩეს საიდუმლო ენად და დაიცვას რომელიმე სოციალური ჯგუფი—მისი მახასიათებელი ნიშანია—წერდა ნისეფორო“. (1, 13)

ყველა ლინგვისტი აღიარებს, რომ მეტყველება ეს სოციალური მოვლენაა, სოციალური ქცევის ფორმა. ყოველი ენა ვითარდება დროში. რადგან არგო არის დამოუკიდებელი ენა, ისიც განიცდის ლინგვისტურ ცვლილებებს. თითოეული ადამიანი ცვლის მას, ის იცვლება ყოველ საათს. „ის დუღს განუწყვეტილად. შესაძლებელია მხოლოდ მისი „ქაფის“ მოხდა“. (6, 45)

ძველი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ არგო ქურდული სამყაროს სპეციალური ენაა, შეიცვალა. „არგო, ქუჩების მეტყველება, გამოიყენება მხოლოდ იმათ მიერ ვინც კანონგარეშე იმყოფება“. (4, 5) ასეთი აზრი არსებობდა ამ ენის შესახებ.

მაგრამ დღეს არგო კარგად აღზრდილ ხალხს სთავაზობს ისეთ გამოთქმებს, რომლებსაც

უნარი შესწევს სტილისტურად უფრო ეფექტურად და სხარტად გამოხატოს მათი ნააზრევი.

ქვემოთ ჩამოთვლილი ციტატები, წარმოთქმული ფრანგებისა თუ უცხოელების მიერ, თვალნათლივ გვიჩვენებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც მათ არგოს მიმართ გააჩნიათ.

ჟან კოკტო — მწერალი—არგოს ლექსიკა ნაკლებად მაინტერესებს, ვიდრე ის თუ რა შეუდარებელ და ცოცხალ ხერხს წარმოადგენს მისი გამოყენება. ლეო ფერე — კომპოზიტორი—არგო ლექსში ვიტამინია. ედმონ ოზე-მხატვარი—არგო, არა მარტო თანასწორობისა და ძმობის, არამედ სინაზისა და ნდობის გამოხატვის საშუალებაა. ფილიპ ელოჟე-ხელოვნებათმცოდნე—ხალხურ რომანებსა და ეკრანზე, არგომ ფრანგულ ენას შეუნარჩუნა ერთდროულად უკმეხი და ჰარმონიული ბუნება. ჟან გაბენი — მსახიობი — არგო, ქურდული ენა? სრულებითაც არა, ეს ენაა, მორჩა და გათავდა. სვენ ნილსენი — სიტეს პრესის გენერალური დირექტორი — დრო შეიცვალა და რა თქმა უნდა არგოც. მიუხედავად იმისა, რომ არგო ერთდროულად უკმეხია და დამცინავიც, მე მას ვეთაყვანები.

ეს დამოკიდებულება არგოს მიმართ გვიჩვენებს, რომ მან საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ჰპოვა მხარდაჭერა. სოციოლოგებიც ისევე როგორც ლინგვისტები, დღეს ყველა ერთ დასკვნამდე მივიდნენ, არგო არაა ალოგიკური წარმონაქმნი, ესაა ნორმალური და სპონტანური მეტყველება, რომელიც იყენებს იგივე ხერხებს რასაც სხვა ენები (1, 124). არგო სპეციალური ენაა, თავდაცვის საშუალება, სოციალური წესრიგის საპირისპიროდ. მეტყველების სპეციფიკა იცვლება სოციალური წრეების ურთიერთობის შესაბამისად.

ანსხვავებენ საერთო არგოსა და ხელობის არგოს. საერთო არგო, ეს ის მეტყველებაა, რომელსაც იყენებს საზოგადოების ყველა ფენა, რაც შეეხება ხელობის არგოს, ის სოციალური ჯგუფის ენაა, სადაც ადამიანებს, ერთი და იგივე პროფესია გააჩნიათ.

არ არსებობს პროფესია არგოს გარეშე. არგო ხასიათდება საიდუმლო, გასართობი და ამავე დროს მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით. მეტად საინტერესოა სასკოლო არგოს ლექსიკა. სასკოლო არგო ძალზე გავრცელებული და პოპულარულია თვით 8, 9 წლის ასაკის ბავშვებშიც.

სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა ლექსიკა მუდმივ განვითარებაშია. იგი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქალაქებსა თუ სკოლებში.

თუმცა არსებობს სიტყვათა რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული სტაბილურობა და დაფიქსირებულია ლექსიკონებში.

სასკოლო არგო შედარებით ყველაზე უძრავი, სოციალური ჯგუფის ენაა. მთლიანობაში სასკოლო არგო ნაკლებადაა შესწავლილი. ის წარმოგვიდგება, როგორც პროფესიული ენა და სრულებითაც არ გააჩნია არგოტული ხასიათი. ის არ ამახინჯებს იმ სიტყვებს, რომლებიც უცხოა სასკოლო ცხოვრებისათვის. „ზედა კლასებში სიტყვების გარკვეული რაოდენობა ნასესხებია უმაღლესი სკოლის მეტყველებიდან“. (2, 46)

ყველაზე საინტერესო და ყველაზე უკეთ ცნობილია, სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის, პოლიტექნიკური სკოლის არგო, რომელიც განვითარდა თავისებურად იზოლირებულ წრეებში, რომელთაც ყველაზე მყარი ტრადიციები გააჩნიათ. სხვა დანარჩენ სკოლებში, როგორცაა სანაოსნო, ცენტრალური, ხელოვნების, ვეტერინარული და

სამედიცინო სკოლები, მათაც გააჩნიათ საკუთარი არგო, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ კარგად არაა შესწავლილი.

უმაღლესი სკოლის არგოს შესწავლამ მოგვცა საშუალება, შემოგვარგლულიყავით არგოს ზოგიერთი მახასიათებლით.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა პარიზის სორბონის უნივერსიტეტის სხვადასხვა სტუდენტებს შორის. თითოეული ანკეტა-კითხვარი შეიცავდა სასკოლო სიტყვათა გარკვეულ რაოდენობას. ვთხოვეთ ჩვენს ინფორმატორებს მოეძებნათ თითოეული სიტყვისათვის არგოტული ეკვივალენტი და მიეთითებინათ შეძლებისდა მიხედვით ამ სიტყვის წარმოქმნის და გამოყენების შესაძლო თარიღი. მიღებული მონაცემები შევადარეთ ფრანგი ლინგვისტის, არისტიდ ბრიუანის ცნობილ ლექსიკონში „XX საუკუნის არგო“-მოცემულ სიტყვებთან. ეს ლექსიკონი გამოცემულია 1901 წელს.

გამოკითხვამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ უმაღლესი სკოლების ენა სწრაფად არ იცვლება. ვაჟები უფრო უკეთ იცნობენ არგოს, ვიდრე ქალიშვილები.

სტუდენტები არგოსთან ერთად კარგად ფლობენ ვერლანს, ეგრეთწოდებულ სარკეში დანახულ მეტყველებას. ამასთან ერთად შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს გარკვეული რაოდენობა სასკოლო არგოს სიტყვებისა, რომლებიც არ შეცვლილა 96 წლის განმავლობაში. ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც განეკუთვნება შედარებით დამკვიდრებულ სიტყვათა ჯგუფს. მაგალითად— bahut-სკოლა, dirlo-დირექტორი, vieux-მშობლები, bosser-მუშაობა, canard-გაზეთი, gosse-ბავშვი.

თუმცა ამ სიტყვებისათვის არსებობს ახალი წარმონაქმნები - ferme, planque, cage, prison, bazar, boîte, school-სკოლა, renp-მშობლები, trimer-მუშაობა, torchon, news, zinc - გაზეთი, môme, niard, morveux, mouftard, mioche - ბავშვი. არის ისეთი სიტყვებიც, რომლებიც საერთოდ არაა დაფიქსირებული ლექსიკონში. მაგალითად-exo-სავარჯიშო, cantoche, coflète-სასადილო, magnéto-მაგნიტოფონი, photocop-ქსეროქსი, blanc, tipex-მტრიხი, თეთრი სითხე რომელსაც მბეჭდავები ხმარობენ.

ეს სიტყვები დაკავშირებულია ახალი რეალიების წარმოქმნასთან. ამდენად, მათი დაფიქსირება ვერ მოხდებოდა საუკუნის დასაწყისში გამოცემულ ლექსიკონში. ცხადია, რომ იმ ლექსიკას, რომელიც ჩვენ შევკრიბეთ, ყველა მოსწველ რიდი იყენებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა ყოველმა მათგანმა იცის.

სტუდენტური არგოს გავლენით, ჩვეულებრივი მეტყველება ტრანსფორმაციას განიცდის. არგო მოითხოვს თავისი ლექსიკური ფონდის ერთი ნაწილის სწრაფ განახლებას. ამისათვის სტუდენტები იყენებენ არგოს წარმოქმნის ზოგიერთ ხერხს, მათ შორის ვერლანსაც. ასე მაგალითად-ტრონკაცია-exam<--examen, phone<--téléphone, ნასესხობა-school, აფიქსაცია+აპოკოპა-dirlo, მეტაფორიზაცია-barre-სახაზავი, blé-ფული, ვერლანიზაცია-vreli-livre-წიგნი, teplan-plante-მცენარე.

ახალგაზრდების მეტყველება გაუგებარია ამ ენის არამცოდნეთათვის.

სოციალურმა ფაქტორებმა გამოიწვიეს ლინგვისტური განხეთქილება. სტუდენტი თავის ოჯახში, კაფესა თუ თეატრში როდი იყენებს თავის არგოს. ეს მეტყველება ასე ვთქვათ თავდაცვის

საშუალებაა. მარსელ კოენი წერდა-„თუმცა მათ არავითარი მიზეზი არ გააჩნიათ იმისათვის, რომ თავი დაიცვან. არგო არაა შექმნილი იმისათვის, რომ იგი გამოიყენოს უცხო ადამიანმა“. (1, 139)

დასკვნის სახით, მოვიშველით ჟან-პიერ გუდაიეს, თანამედროვე ფრანგი არგოტოლოგის სიტყვები - „საჭიროა, რომ ნორმირებული ენა, ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ახალგაზრდისათვის. პედაგოგიური მუშაობა უნდა არა მარტო დაეიწყოს ამ მიმართულებით, არამედ ჭეშმარიტად უნდა დავამკვიდროთ ეს ტრადიცია“. (3, 12)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marcel Cohen- Bulletin de la Société de Linguistique de Paris, 1919.
2. Albert Dauzat-L' argot-Paris, 1924.
3. Jean-Pierre Goudailler-Comment tu tchatches? Paris 1997.
4. Auguste Le Breton- Langue verte et noirs desseins, Paris 1960.
5. Raymond Queneau- Exercices de style, Paris 1965.
6. André Thérive-Le français, la langue morte? Paris 1923.

Kétévan Djachy

## L' argot et la sociolinguistique Sommaire

Le présent article concerne l' argot, comme langage d 'un groupe social, qui a trouvé une approbation dans différentes couches de la société. On distingue l' argot commun et l' argot des métiers. Le sondage fait parmi les étudiants de différentes Universités de Paris et la comparaison des mots argotiques récents avec le fameux dictionnaire d' Aristide Bruant- "L' argot